ხუთშაბათი, 22 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 22 ივლისი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	,, . .	9 ,,	50 ,,
10	,, . .	8 ,,	75 ,,
9	,, . .	8 ,,	— ,,
8	,, . .	7 ,,	25 ,,
7	,, . .	6 ,,	50 ,,
6	,, . .	6 ,,	— ,,
5	,, . .	5 ,,	50 ,,
4	,, . .	4 ,,	75 ,,
3	,, . .	3 ,,	50 ,,
2	,, . .	2 ,,	75 ,,
1	,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 169 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 169

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 24 ივლისს.

ალექსანდრე ნიკოს ძე და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხოფერიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 31 ივლისს, დილის ათ საათზედ, შხეფის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის—ასულისა და მეორესი—დის

ნატაშა (იგივე მართა)

ალექსანდრე ხოფერიას ასულის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკ'ში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საგურამოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверіа“.**

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—6)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მუღინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. გალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საშვ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტუღუშლაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საშვებით 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

უ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კქრაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

გ. ს. ელში. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საშვებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ჟორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშეილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

დაშიცაოს ბრძოლა.—წვრილი ცნობები.—თავისუფალ ფლოტის კრეისერთა მოქმედება.—იაპონელების სიმარდე და თავდადება.—კუროკის ახალი მონათესავენი.

ლიაოიანიდგან იწერებიან: ჩვენმა სამხრეთის რაზმმა დიდის მწუხარებით აღასრულა ბრძანება დაშიცაოს მიტოვების შესახებ. მით უმეტეს სამწუხარო იყო უკუ-ქცევა, რომ, ორის დღის ბრძოლის შემდეგ, მრავალ ადგილას ჩვენები იმარჯვებდნენ და გამარჯვების,—დიდ გამარჯვების—იმედი გვქონდა. ვაფანგოუმ ბევრი რამ გვასწავლა. ჩვენი ბატარეიები სულ სხვანაირად დააყენეს და ყოველი ჩვენი ზარბაზანი მტერს პასუხს გასცემდა. მეტადრე კარგა დააბანაკა თავისი ზარბაზნები გენერალმა მარაზოვსკიმ. არა ნაკლებ მოქმედებდნენ ბატარეიების უფროსები, რომელთაგანაც მხოლოდ ერთმა, პოლკოვნიკმა პაშჩენკომ, 4,016 ყუმბარა უთავაზა მტერს და ხან აჩუმებდა, ხან ბინას აცვლევინებდა. მტრის ერთი ბატარეია სრულიად გაანადგურა. პაშჩენკოს გვერდით ყუმბარა დაეცა, მელინიტით გატენილი, და ისე შეარყია არე-მარე, რომ პოლკოვნიკი პაშჩენკო ყირამალა გადაატრიალა. ის მაინც მალე გონს მოვიდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. შემდეგ ყუმბარის ნატეხი ხელში მოჰხვდა, რომელიც მაღლა ჰქონდა აშვერილი და თავის ხელქვეითებს რაღასაც ანიშნებდა. მაინც კიდევ თავის ადგილს დარჩა და უფროსობდა. სამი საათი იქმნებოდა, როდესაც ჩვენს მარცხენა ფრთას ბრძანება მოუვიდა, წინ წასულიყო. მაგრამ ვიდრე ამ ბრძანების აღსრულებას შეუდგებოდნენ, თვით იაპონელებმა წინ წამოიწიეს და მარჯვენა ფრთით ჩვენს ბარნაულის პოლკს დაეცნენ (ჩვენი ჯარი 20 ვერსზე იყო გამწკრივებული). ბარნაულელებმა იაპონელები რამდენჯერმე უკუ-აქციეს, ხიშტებით შეებნენ და სიმინდში შელალეს. მართალია, ბარნაულელთ დიდი ზიანი მიეცათ, მაგრამ ჩვენ საერთოდ ძალიან ცოტა ჯარის კაცი დავკარგეთ. არც ერთი პოზიცია არ მიგვიტოვებია, არსად უკან არ დაგვიწევია ბრძოლის დროს და, როცა დაღამდა, მაშინ-კი დაშიცაოდგან გამოვედით. ამას მოითხოვდა საერთო გეგმა ჩვენის მოქმედებისა. 12 ივლისს, დილით, იაპონელებმა ისევ ასტეხეს სროლა და, პასუხი რომ ვერ მიიღეს, წინ წამოვიდნენ. მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო გენერალი ზიკოვი, მაგრამ იმის ჯარიც მცირედ დაზიანდა. იაპონელები ნელა მოდიოდნენ, თუმცა იმათ ზარბაზნების გრიალი 13 ივლისსაც ისმოდა ხაიჩენში საღამომდე. იაპონიის ჯარის სარდლად მარშალი ოიამა იყო. ხაიჩენს დიდი ჯარი შეგროვდა. აღარ იშოვება არც შაქარი, არც სანთელი და არც ყავა. ლუდი, ღვინო და ხანდისხან კოკისპირული წვიმა გვაგრილებს. (ნ. ვ.).

—

ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ ლონდონის გაზეთებს, გენერალ ოქუს მოხსენებიდგანა სჩანს, რომ რუსის ჯარი დაშიცაოსა და ხაიჩენს შორის არისო. იაპონიის ჯარი დაშიცაოს ჩრდილოეთად მიდის და ამავე დროს გენერალი კუროკიც ლიაოიანის ჩრდილოეთად მიიწევს ორის დივიზიით.

ნიუ-იორკიდგან იწერებიან, ამერიკის კრეისერები მოდიან იოკოჰამისკენ ამერიკის გემების დასაცველად ვლადივოსტოკის ესკადრის წინაამდეგ. (რ. ვ.).

—

პეტერბურგის სადეპეშო სადგურში გამოკიდულია განცხადება: დეპეშები რუსულ ენაზედ პეკინსა და ტიანძინში გასაგზავნად ინკოუზე 14 ივლისიდგან აღარ მიიღება. (რ. ვ.).

—

ხარბინიდგან დეპეშით იუწყებიან, გაზეთების კორესპონდენტები დროებით ხარბინს წამოვიდნენ და მხოლოდ აქედგან შეიძლება დეპეშების გამოგზავნაო. (პ. გ.).

—

«ბერლ. ტაგ.»-ში დაბეჭდილია დეპეშა პეტერბურგიდგან:

ინგლისის ნოტა შესახებ იმისა, რომ თავისუფალ ფლოტის კრეისერების მოქმედება უკანონოაო, პეტერბურგში თითქმის შეწყნარებულ იქმნა და ამის გამო გადასწყდა, უცხოელების გემების ჩხრეკას თავი დაანებონ. აქ იმაზედაც თანხმობას აცხადებენ, რომ ეხლანდელი მდგომარეობა და უფლება თავისუფალ ფლოტის გემებისა გამოურკვეველია საერთაშორისო კანონის მხრივ და უცხო გემების დატყვევებასა და ჩხრეკას ადგილი არ უნდა ჰქონდესო. რუსეთმა გადასწყვიტა, კრეისერების ამგვარი მოქმედება შესწყვიტოს და საერთაშორისო კეთილი დამოკიდებულება აღადგინოს. (კ. გ.).

—

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს იაპონელ ჯარის-კაცებისათვის ისეთი თვისება შეუნიშნავს, რომელიც აქამომდე არ იცოდნენ.

ჩინელები ამბობდნენ, რომ იაპონელების ქვეითი ჯარი ისე სწრაფად დადის, რომ ცხენს არ ჩამორჩებაო. ეს იმით აიხსნება, რომ ჯარის კაცები წინად მუშამზიდავებად ყოფილან, რიქშებადანუ ჯენერიქშებად, რომლებიც ეტლით მგზავრებს დაარბენინებენ ცხენის მაგიერ. თუ რომ ეტლში შებმული და დატვირთული რამდენსამე საათს შეუსვენებლივ დარბოდა, მაშ რა გაუჭირდება, როდესაც ტვირთი არ აწუხებს. ამასთანავე, იაპონელებს ერთი რამ უადვილებს სიარულს: ჩვენი სალდათი ორ-ფუთიან ტვირთსა ზიდავს ზურგით (ფუთი და ოცდასამი გირვანქა სავალდებულო ნივთები და შვიდ გირვანქამდე თავისი საკუთრება). რასაკვირველია, ეს ტვირთი მოჰღალავს. იაპონელის ბარგი სულ ეტლს მიაქვს, თითონ მსუბუქად მიდის და ბრძოლის დროს დაღალული არ არის. ჩვენ გვიყურებია, დაღმართზე რომ ჩამორბოდნენ. წვეროზე მსროლელები დგანან და დანარჩენები გადმოეშვებიან საშინელ მაღლობიდგან, თითქო ფრთები ასხიათო. «მაგათთვის ადვილიაო,—შურით ამბობენ ჩვენი სალდათები,—ბარგი მაგათ არ აწუხებს და ფეხსაცმელი რბილი აქვთო. აბა წადი და ჩვენის წაღებით მოჰკურცხლე. მალე დაილეწავ ცხვირ-პირს მაგისთანა კლდეებზეო».

ჩვენები რომ დაღმართზე ჩადიან მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებით და საათებსა ჰკარგავენ სიარულში, იაპონელები რამდენსამე წამს ჩარბიან, მეტადრე თუ ეგრიში აქვთ მისატანი, თოფსაც კი ვერ დაუმიზნებ, რადგან ისე სწრაფად მოჰქროლავენ, თითქო ზვავი იყოს. მე ერთი რომ მაოცებს, ჩვენმა სამხედრო აგენტებმა როგორ ვერ შეჰნიშნეს ეს სიმალხაზე, როდესაც იაპონიაში იყვნენ? ისინი არ გვარწმუნებდნენ, რომ იაპონელებს კავალერია ცოტა ჰყავთ და ისიც უვარგისიო? აღმოჩნდა, რომ საკმარისიც ყოფილა და ჩინებულიც. სწორედ ისეთი ამბავი მოჰხდა, რაც რუს-ოსმალეთის ომის დროს: მაშინაც სამხედრო აგენტები გვარწმუნებდნენ, ერთი კორპუსიც საკმარისია, რომ გამარჯვებული შევიდეთ სტამბოლშიო. მე მახსოვს პოლკოვნიკ ვანნოვსკის ნათქვამი, რომელიც ექვსი წელიწადი იაპონიაში სცხოვრობდა, ჩვენი ომი ამ სახელმწიფოსთან სწორედ ბავშვური გასართობი იქმნებაო: ჩვენ დასაწყისშივე გავიმარჯვებთ და სრულიად საჭირო არ არის საგანგებო ყურადღება მივაქციოთ, რადგან ეს მტერი მშიშარა და შესაბრალისიაო. ჩვენ არც კი ვამჩნევდით ისეთ წვრილმანს, რომელიც სხვას მაშინვე თვალში ეცემა: იაპონელ სალდათებსა და აფიცრებს რაღაცნაირი აბჯრები აცვიათ. ამიტომ შუბიც-კი ვერას აკლებს და ხმალს ხომ პირი უჩლუნგდება.

(რუს. სლ.).

გაზეთ „პატრის“ კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს იუწყება შესახებ ომში მიმავალ იაპონელებისა და მათის ფსიხოლოგიისა.

ომში მიმავალ იაპონელს თავისი თავი დაღუპულად მიაჩნია, როგორც თვითმკვლელს, და ცხოვრებასთან ანგარიშს წინადვე ათავებს. ამბობენ, მაგალითად, ადმირალ ტოგოს მას უკან, რაც ომი დაიწყო, ერთი წერილი არ გაუგზავნია თავის სახლობისათვის და ცოლშვილისათვისაც აუკრძალნია, ომის დროს წერილები არ გამომიგზავნოთო. გენერალმა ინუემ, რომელსაც ომში შვილი მოუკლეს, თავის ნათესავებსა და ნაცნობებს სთხოვა, სამძიმარს ნუ გამომიცხადებთო. მაგალითი მრავალია თურმე. ომში მიმავალი აფიცერი, თუ სალდათი, ნებას აძლევს თავისს დანიშნულს, თავისუფალი ხარ, სხვა შეირთე, რადგან მე ომში სასიკვდილოდ მივდივარო. ცოლშვილიანი იაპონელი ეუბნება თავისს ცოლს: შენ მე ვეღარა მნახავ; ეცადე საქმე ისე მოაწყო, რომ შენთავად იცხოვრო და ჩემის დაბრუნების იმედი არა გქონდეს; ვინძლო შვილები ისე აღზარდო, რომ ჩემის სახელის ღირსნი იყვნენ. (პ. ვ.).

—

ამას წინად გაზეთებმა გენერალი კუროკი გააპოლონელეს, ვითომც მამა ჰყავდა გვარად კუროვსკი ეხლა იაპონელებს და პოლონელებს სხვებიც ეცილებიან. ფრანგული გაზეთი «ლა პტი» ამტკიცებს, ვითომც კუროკის მამა ფრანგი იყოო.

აფიცერი ჟოზეფ კიურიკი, შთამამავლობით ლოტარინგელი, ჩინეთს გაჰგზავნეს და იქ დიდხანს დარჩა, 1850—1860 წლებში. იმან მონაწილეობა მიიღო ჩინეთის ომში გენერალ კუზენდე-მონტობანის რაზმში და შემდეგ საფრანგეთს დაბრუნდა. შანხაიში ახალგაზდა აფიცერს ლამაზი იაპონელი ქალი შეჰყვარებია და მისგან ვაჟი შესძენია. ბავშვი კანონიერ შვილად არ იყო ცნობილი, მაგრამ მამამ ევროპიულად აღზარდა და კარგი სწავლა-განთლება მიაღებინა. ფრანგული გვარი კიურიკი იაპონურად გადაუკეთებიათ—კუროკად. გენერლის დედა დღესაც ცოცხალია და კიოტოში სცხოვრობს. მამა-კი შარშან გარდაიცვალა ტულუზში. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა შვილთან, რომელსაც თავისი ვინაობა არ ავიწყდებოდა, და სიკვდილის შემდეგ მრავალი წერილი აღმოჩნდა. ეს ყოველივე კარგად უნდა იცოდნენ საფრანგეთის სამხედრო სამინისტროში, სადაც უეჭველია, საბუთის ქაღალდებიც იქნება. სიერკში ეხლაც არიან აფიცერ კიურიკის ნათესავები. (ნ.).

ტფილისი

—

⁂ დღეს, 22 ივლისს, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ალექსი, წირვასა და პარაკლისს გარდაიხდის სიონის საკათედრო ტაძარში.

⁂ 20 ივლისს ტფილისის საგუბერნიო სამმართველოში პანაშვიდი გარდაიხადეს 15 ივლისს მოკლულის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. კ. ფონ-პლევეს სულის მოსახსენებლად.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება თავ. ა. ი. სუმბათაშვილი, რომელიც მხოლოდ ორ დღეს დარჩება აქ შინაურ საქმეთა გამო. პარასკევს. 23 ივლისს თავ. ა. ი. სუმბათაშვილი ისევ დაბრუნდება თავისს მამულში, ვორონეჟის გუბერნიაში. თავ. ა. ი. სუმბათაშვილს განზრახვა აქვს მომავალ გაზაფხულზედ გვეწვიოს ტფილისელებს მოსკოვის საიმპერატორო პატარა თეატრის დასით და რამდენიმე წარმოდგენა გაჰმართოს. რეპერტუარში, სხვათა შორის, ჩარიცხული იქმნება «ღალატიც».

⁂ გუშინ-წინა, 20 ივლისს, სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ დაათვალიერა მრავალი ადგილები და ბევრგან ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოაჩინა სახლები. სხვათა შორის, კომისიამ დაათვალიერა და დაჰკეტა ფეხის-ადგილი მიხეილის პროსპექტზედ, ნ. ა. გრიქუროვის სახლში, რადგანაც არხი გაუკეთებელი აღმოჩნდა და საძაგელი სუნი გამოდიოდა. საკვირველია, ბ-ნი ნ. გრიქუროვი საბჭოს ხმოსანია და სასანიტარო კომისიის მზრუნველი და თავისი მამული-კი უსუფთაობის მორეში სცურავს!

⁂ ბ-ნს ს. ი. უმანეცს, რომელიც ტფილისში რუსულის ენის ცენზურად იყო, წერილი დაუსტამბავს «Историч. Вѣстн.»-ში და ამტკიცებს, რომ კახეთისათვის რკინის გზა ისეთივე საჭიროა, როგორც თევზისთვის წყალიო. ბ-ნი უმანეცი სწერს, სხვათაშორის, რომ ვყოფილვარ კახეთში, დამითვალიერებია მთელი მისი ადგილმდებარეობა და დავრწმუნებულვარ, რომ, თუ კახეთში რკინის გზას გაიყვანენ, ვაჭრობა მრეწველობა ამ კრუთხეულს კუთხეში დიდის სისწრაფით აღორძინდებაო. სრულს სიმართლესა ბრძანებს ბ-ნი უმანეცი, მაგრამ გამგონი ვინ არის! დიდი ხანია, რაც კახეთს ურკინის გზოდ სული ეხუთება.

⁂ გუშინ-წინ, 20 ივლისს, მამა დავითის გორაზედ, სადაც ფუნიკულერს აკეთებენ, იმ დროს, როდესაც ერთმანეთზედ ჯაჭვით გადაბმული ორი ვაგონი მაღლა-დაბლა ადიოდ-ჩამოდიოდა, უცბად გაწყდა ჯაჭვი და ვაგონები ძირს დაეშვა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი მძიმედ დაშავებაულა. როგორც ამბობენ, თვით ფუნიკულერის გზის მკეთებელი ინჟენერიც დაშავებულა.

⁂ ამ ჟამად იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდლად ეგ. ნინოშვილის (ინგოროყვას) სრულ თხზულებათა კრებული ერთ წიგნად. ამ წიგნს ჰბეჭდავს ჩვენში ცნობილი გამომცემელი ბ-ნი კონსტ. თავართქილაძე. ეს წიგნი მით უფრო საყურადღებოა, რომ შიგ მოქცეული იქნება ეგ. ნინოშვილის დღემდე გამოუცემელი თხზულებანი, მაგალითად, «ცოლი და ქმარი» და «ჯანყი», ანუ «სამწუხარო შედეგი». წიგნი დიდის ზომისა იქნება.

⁂ ტფილისის მეორე ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა 14 ივლისს დაათვალიერა გოლოვინის პროსპექტზე ბარონ კუჩენბახისა, გიორგი ნასარიძისა, პუშკინის ქუჩაზე შადინოვის მაღაზიები და გრიბოედოვის ქუჩაზე პისკუნის სამრეცხელო. კუჩენბახის მაღაზიის სარდაფში აღმოჩნდა დამპალი და მატლიანი ყველი. უსუფთაოდ აღმოჩნდა აგრეთვე ნასარიძის საკანდიტერო, განსაკუთრებით ის ნაწილი, სადაც ამზადებენ რძესა და სხვა სანოვაგეს. შადინოვის მაღაზიის სარდაფი და პისკუნის სამრეცხელოც უსუფთაო აღმოჩნდა. ყველა ამათ ბაზოვმა ოქმი შეუდგინა და გადასცა სასანიტარო კომისიას პასუხის-გებაში მისაცემად.

⁂ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობა შუამდგომლობს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ საერობო თანხიდან გადაიდოს 1,900 მან. ტფილისის საგუბერნიო საპყრობილის საავადმყოფოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

⁂ ხშირად რკინის გზის ექიმებს იწვევენ ხოლმე ისეთ ადგილას და ავადმყოფებთან, რომელნიც რკინის გზასა და იმის რაიონს არ ეკუთვნიან. რკინის გზის გამგეობამ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევებში უნდა დაიბარონ ქალაქისა ან მაზრის ექიმები და რკინის გზის ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიწვიონ, თუ მაზრისა ან ქალაქის ექიმი ავად არისო.

⁂ წვრილ და მსხვილ-ფეხა საქონელს, რომელიც რკინის გზით იგზავნება, უსათუოდ ბეითლის მოწმობა უნდა ჰქონდეს. რადგან ყოველთვის ასეთ მოწმობის აღება ძალიან ავიწროვებს საქონლის პატრონთ და გამგზავნელთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობამ განკარგულება მოახდინა სადგურების უფროსთა საყურადღებოდ, რომ დღეის შემდეგ უმოწმობოდ მიიღონ ხოლმე გასაგზავნად წვრილ-ფეხა საქონელი—ხბო, ღორი, გოჭი და თხა.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, შორაპნის მაზრის სოფელ ხარაგაულის ვაჭრების თხოვნის თანახმად, დაუდგენია, ხარაგაულში დაარსებულ იქმნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

⁂ მიხეილის ციხის არტილერიის კაპიტანი დუმბაძე გადაყვანილ იქმნა ვლადივოსტოკის ციხის არტილერიაში.

⁂ დღეს, 22 ივლისს, ბელგიის უსახელო საზოგადოების ცხენებისა და ვაგონების დათვალიერებას შეუდგა ტრამვაის მეთვალყურე კომისია.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მსწრაფლ მატარებელ № 1-ზე დღემდე ბორჯომის ბილეთები არ იყიდებოდა. რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ მგზავრებს მიჰყიდონ ბილეთები ბორჯომამდე.

⁂ როგორც რუსეთის წითელის ჯვრის კავკასიის განყოფილების საოლქო სამმართველოს ანგარიშიდგან სჩანს, 8 ივლისიდგან 15 ივლისამდე კავკასიის წითელ ჯვრის განყოფილებას შემოსვლია შემოწირულება: წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ—548 მან. 17 კაპ. და ფლოტის გასაძლიერებლად—258 მან.; სულ წინანდელ შემოწირულებითურთ 80,878 მან. 33 კაპ. და სახელმწიფო რენტით—600 მან.

⁂ დღეს, 22 ივლისს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრის სადგომში, კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოების თაოსნობით, გაიმართება სახალხო კითხვები ხოლერის თაობაზედ ქართულად და რუსულად. ქართულად წაიკითხავს ექიმი დ. ა. გედევანიშვილი შუადღის 12 საათზედ და რუსულად ექიმი ნ. დ. ხატისოვი—ნაშუადღევის 1-ლ საათზედ.

⁂ დღესვე, 22 ივლისს, ავჭალის სახალხო თეატრის აუდიტორიაში, კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოების თაოსნობით, რუსულ-ქართული სახალხო კითხვები გაიმართება ხოლერის შესახებ. რუსულად წაიკითხავს ექიმი ა. ი. გოლოვკოვი (დასაწყისი საღამოს 7 საათზედ) და ქართულად—ექიმი ა. ნ. დიასამიძე (საღამოს რვა საათზედ).

საქართველოს ამბავი

—

ს. ტობანიერი. კვირას, 11 ივლისს, დაასაფლავეს აქ აუარებელის ხალხის თანადასწრებით 18 წლის მოსწავლე მიხეილ ბესარიონის ძე შარაშენიძე. დასაფლავების დროს ტობანიერის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველ-მასწავლებელმა უთხრა მიცვალებულს შემდეგი სიტყვა, რომლიდგანაც მკითხველი გაიგებს, თუ რა გულსაწვავი ყოფილა საცოდავის ჭაბუკის დაკარგვა:

ბედისაგან დასჯილო მიხეილ!

დღეს, 11 ივლისს, ყველა შენი ნათესავები, მეზობლები და გულწრფელი თანამგრძნობლები შევიკრიბენით შენის მწუხარე მშობლების ოჯახში, რათა ვანუგეშოთ ისინი და შენს ცხედარს საუკუნოდ გამოვეთხოვოთ. შენმა ასე უდროოდ სიკვდილმა შენი საყვარელი დედ-მამა და ნაცნობ-ნათესავები ყველა გამოუთქმელ მწუხარებაში ჩააგდო; ყველა ისინი თავს დაგტირიან და მწარე ცრემლებს კუბოზედ გაყრიან, თუმცა სატირალნი არიან შენი დედ-მამა, შენი დამკარგველნი, და არა შენ, რომელმაც ადრე აიცილე ამა სოფლის ამაოება და ეკლიან გზაზედ სვლა და მიეცი საუკუნო განსვენებასა.

სატირალიც აქვთ შენ მშობლებს: ისინი დიდს შრომას სწევდნენ შენის აღზრდისათვის; სცდილობდნენ, რომ გამოეყვანეთ ნამდვილ კაცად; რომ გამოზრდილიყავ მშობელთა სანუგეშოდ, მოძმეთა და სამშობლოს სასარგებლოდ. ჰფიქრობდნენ, რომ იქმნებოდი მათი მანუგეშებელი მოხუცებულობის დროს, ოჯახის გამმაგრებელი და შენის მცირეწლოვან ძმების გზაზედ დამყენებელი. მხიარულ იყვნენ საბრალო შენი მშობლები, რომ შენც მონდომებულიყავ სწავლა მიგეღო და გაგემართლებია მათი შრომა. შენ დაამთავრე ქუთაისის სააზნაურო სასწავლებელი და შემდეგ გწადდა განგეგრძო სწავლა საშუალო სასწავლებელში, მაგრამ ახლო-მახლო შენს გუბერნიაში უადგილობისა გამო არსად მოგიხერხდა ამ სურვილის შესრულება. ბევრგვარი დაბრკოლება გედაგეღობა წინ, მაგრამ შენ მაინც არ უმტყუნე ერთხელ არჩეულ გზას, არ გაიტეხე გული და კავკავში გასწიე ბედის საძებნელად, უცხო მხარეს, და კიდევაც შეუდექი საქმეს. გამსჭვალულთ კეთილის გრძნობით შვილის ბედნიერ გზაზედ დაყენების გამო, შენმა ხელ-მოკლე დედმამამაც არ დაიშურა არავითარი შრომა და ხარჯი შენთვის და ყოველ მხრივ ხელს გიწყობდნენ; ამაყობდნენ შენით, შეგტრფოდნენ და შეგხაროდნენ, რომ შენ ოდესმე კაცი გახდებოდი, მათი შრომა ნაყოფს გამოიღებდა, რომლითაც ისინი შემდეგ დასტკბებოდნენ. მაგრამ უმუხთლა მათ ბედმა! ვერ გაგიმასპინძლდა უცხო მხარე, არ მიგიღო; მძიმე შრომამ, ფიქრებმა და უცხო კუთხეში ყოფნამ მალე დაგაჩინა დაღი, დაგასნეულა და ისე გამოგისტუმრა შენს მშობელ ქვეყანაში. ბევრს ეცადნენ შენი მშობლები, მაგრამ უწყალო სიკვდილს ვერ გამოჰგლიჯეს შენი თავი ბრჭყალებიდგან, განქრა მათთვის იმედი! მხიარულება შეეცვალათ სამუდამო მწუხარებად და მწარედ გულ-განგმირულთ აწ არ შეაშრებათ თვალთ ცრემლი. რას იფიქრებდა უბედური შენი მამა, თუ მისი ფიქრები ოცნებად გადაიქცეოდა?! რას

ფელეტონი

რჩევა

საიდუმლო ტრფიალება
ლოცვა და აღსარება,
ბოროტ სულს სურს მხოლოდ მისი
ჩაშხამება, ჩამწარება.

—

და, მაშ, სატრფოვ, იმის რჩევას
ნუ აყოლებ გულის თქმასა;
დაუჯერე მხოლოდ ზეცას:
გაუგონე ცაურ ხმასა...

—

საყვარელი კავშირია
ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა;
იგივეა მაცხოვარი..
«მადლი კაცთა გამოხსნისა.

—

სიფრთხილით და მოკრძალებით
სატრფიალოს სდევდე ბიჯსა...
ნუ ჩააგდებ ქვეყნის უბში
იმ ზეციურ მადლი ნიჭსა...

—

ის, ვით წმიდა საიდუმლო,
ეკუთვნის მარტო სულს და გულსა;
როგორც ნათელს, ვერ დაიჭერ
ხორციელად სიყვარულსა.

—

მხოლოდ გული მიიშუქებს
სხივებს, სულის ანარეკლსა,
და სამუდამო საქმეებს
ის დაუდებს უკვდავ მწველსა!.

აკაკი.

ჩინეთ-იაპონიის მუსიკა. *)

I

რუსეთ-იაპონიის ომმა მთელის კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. ამ ომმა ისიც კი მოიტანა, რომ დღეს ყველასა სურს რაიმე წარმოდგენა იქონიოს აქამდის თითქმის მისთვის უცნობ ჩინეთ-იაპონიის ხალხსა და მათ სულიერ ცხოვრებაზედ. სწორედ ამითი აიხსნება, რომ დღეს ყველა ჩვენგანი მათს მწერლობასა, ზნე-ჩვეულებასა თუ სხვა რამ დარგზედ, გაზეთში ცოტა რამ მოყვანილს შენიშვნასაც კი დიდს ყურადღებას აქცევს და გაფაციცებით კითხულობს. მაშ, რადგანაც დრომ მოიტანა, ვგონებ საზოგადოებისათვის მომეტებული არ იქნება, სხვა და სხვა ცნობასთან ერთად, ცოტა რამ წარმოდგენა იქონიოს ამ ორის ხალხის ხელოვნების ერთ-ერთ დარგზედაც—მუსიკაზედ.

მუსიკის ხელოვნების ისტორია, როგორადაც კაცობრიობისაც, აზიიდგან იწყებს მომდინარეობას იმ დროს, როდესაც ევროპაში მცხოვრებ ხალხის ზნე-ჩვეულება ძველებურ ხასიათს და თვისებას ჯერ ოდნავაც კი არ დაჰშორებოდა, ჩინეთსა, ინდოეთსა და ეგვიპტეში საფუძვლიანად იყო ჩაყრილი საძირკველი საზოგადოდ მუსიკალურ ხელოვნებისა. აქ, ამ ქვეყნებში, ხსენებულ ხელოვნების წინსვლას და ცხოვრებას, თუმცა თავისებურობა ემჩნია, მაგრამ უნდა კი ითქვას, რომ ეს თავისებურობა აღსავსე იყო იმ უეჭველ ნიშნებით და ფორმებით, რომელიც შემდეგში მუსიკალურ ხელოვნების ქვა-კუთხედათ გარდაიქცა. მის განვითარებას და წინსვლას ხელი შეუწყო და იმათზედ დაამყარა ამ ხელოვნებამ თავისი მსოფლიო მნიშვნელობაც.

საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ ჩინურ-იაპონურ ხელოვნებას რაღაც ორიგინალური გულ-უბრყვილობა ეტყობა. ერთის მხრივ კიდეც უნდა კაცს აღვიაროს, რომ ამ ხალხთა ხელოვნების ამა და თუ იმ ქმნილებაში თითქოს ფანტაზიასაც მიუღია მონაწილეობაო; მაგრამ თუ ჩაუკვირდი კი, ნათლად შეამჩნევ, რომ სწორედ ფანტაზიას არიან მოკლებულნი ჩინელ-იაპონელნი თითქმის ყველა ხელოვნების დარგში; ყველა ის, რაც შედეგია შრომის-მოყვარეობისა, თავის გამოდებისა საქმეში, მოთმინებისა, ყველა ის, რაც დახელოვნებით და გამოცდილებით შეიძლება შეიძინოს ხალხმა—ვამბობ,—ყველა ეს თვისება დამახასიათებელი ნიშნებია ჩინეთ-იაპონიის ტომის სულიერ ცხოვრებისა; მაგრამ ის კი, რისთვისაც საჭიროა ჭეშმარიტად უზენაესი მოსაზრება, ოცნება, ღვთაებრივი, ზე-მონაბერი ნიჭი, გულის სიმთა აწყობა და ამაჟღერი გრძნობა, ცის კიდეს ვარსკვლავთა შორის და კიდით-კიდე მსრბოლავი ოცნება—ყველა ამას მოკლებული ყოფილა ეს ტომი იმდენად, რამდენადაც კავკასიის ტომის ხალხთა წარმომადგენელი დაუჯილდოვებია ამ მხრივ ბუნებას.

ესევე ითქმის ჩინურ-იაპონიის მუსიკის ხელოვნებაზედაც: დიდის ხნის შრომის, მათემატიკურ გამოანგარიშებისა და ფიზიკურ გამოცდის მეოხებით ჩინელ-იაპონელებმა, რამდენისამე ათასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, მიაღწიეს მუსიკის თეორიის იმ ფორმებს და წესებს, რაც ეხლა, ჩვენს დროს, შეადგენს მუსიკალურ ხელოვნების შესწავლის საგანს. ჯერ კიდევ ორი ათასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე ჩინეთ-იაპონელებს გამოკვლეული ჰქონდათ და იცოდნენ მუსიკის ინტერვალების არსებობა, მაგ.: კვარტისა, კვინტისა, თორმეტი ნახევარ ტონი და სხვა-და-სხვა; რაც შეეხება მუსიკის პოეზიას—ჰარმონიას, კომპოზიციას, ამას ისინი მოკლებულნი ყოფილან. ეხლაც კი მათი სიმღერები ბავშვების გასართობ მელოდიებს ჰგავს და ჩვენი «მოდი ვნახოთ ვენახის» მელოდია ხომ, იმათ საუკეთესო ჰანგთან შედარებით, ნამდვილი სიმფონიაა.

ესევე ითქმის ამ ხალხის სამუსიკო საკრავებზედაც: მათი უმთავრესი და გასართობი საკრავები, როგორც ამ დროს, მართლაც ყოფილა დოლი, დალაბანდი სხვა-და-სხვა ტანისა, დიპლიპიტო, ზარები, სპილენძის თეფშები და სხვა. ესევე არ ითქმის მუსიკის თეორიაზედ: ჩინეთ-იაპონელებისათვის მუსიკის თეორია მეცნიერებათ იყო გარდაქცეული. იწერებოდა ამ საგანზედ აუარებელი სამეცნიერო ტრაქტატები, რომელთაც ჩვენ დრომდისაც კი მოაღწიეს; თუ ეს ლეგენდა არ არის, 2700 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე მათ ჰყოლიათ მეცნიერი—ლინგ-ლენი, რომელსაც ჩინურ-იაპონურ მუსიკის ხელოვნებისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონია, როგორრათაც პითაგორს ბერძნების მუსიკალურ მეცნიერებისათვის, რომელზედაც ამბობენ, ვითომ გამოიკვლია და დაწვრილებით აღნიშნა ბერძნების მუსიკაში თორმეტი ნახევარ ტონი ოქტავისა და მათი დამოკიდებულება ერთმანეთ შორისაო.

ზემოხსენებულ ლინგ-ლუნზედ აი რა ცნობანია დარჩენილი; როდესაც ჩინეთის ხელმწიფემ კოაგ-ტიმ შეიპყრო ხელმწიფე ჩი-უდა, ამის სამფლობელო შეუერთა თავისას. კოაგ-ტიმ მოინდომა ამასთანავე აღორძინებინა და გაემშვენიერებინა ხელოვნება და მეცნიერება თავის თვალ-გადუწვდენელ სამფლობელოში; მან დაიბარაო, მოგვითხრობს ისტორია, ვიღაც მეცნიერი, რომელსაც სახელად ერქვა ლინგ-ლუნი და დაავალა, შეედგინა იმისთანა ვრცელი სამეცნიერო ტრაქტატი, რომელიც სრულებით შეიცავდა მუსიკის წესებს. როგორც იგივე ლეგენდა მოგვითხრობს, ლინგ-ლუნი ამ ბრძანების შემდეგ გაემგზავრა სე-იუნგის მხარეს, იქ, ხონგოს-წყლის ახლო მდებარე მაღალ მთაზედ, რომლის ფერდობიც მშვენიერ ლერწამით იყო დაბურულ-შემოსილი, ავიდა და დასახლდა. დიდხანს დაჰყო ამ მეცნიერმა ამ მთაზედ. ერთს მშე-

---

*) როცა ვწერთ „ჩინეთ-იაპონიის მუსიკაო“, უნდა ვგულისხმობდეთ, როგორც ჩინელების, ისე იაპონელების მუსიკის ხელოვნებასაც, რადგანაც მუსიკის შესანიშნავ და ცნობილ მეისტორიეთ იმდენი საერთო რამ შეუმჩნევიათ ამ ორის ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რომ მათი მუსიკა ზემოხსენებულის სათაურით აღუნიშნავთ. სწორედ ამითი უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ მუსიკის ცნობილ მეისტორიეთ, როგორათაც კებერს, ამბროზს, საკკუტის, რაზმაძეს და სხვათა ამ სათაურით აღუნიშნავთ ამ ორის ხალხის მუსიკა. მაშასადამე, რაც ითქმის ჩინელების მუსიკაზედ, იგივე უნდა იგულისხმებოდეს იაპონელებისაზედაც. მართლაც, ზემოხსენებულ წყაროებს რომ თვალი გადაავლოს კაცმა, დარწმუნდება, რომ ესეც უნდა ყოფილიყო. თუ ცოტა რამ განსხვავება არსებობს მათ მუსიკაში, ეს განსხვავება მხოლოდ საკრავებს შეეხება, თუმცა საყურადღებო რამ განსხვავება არც აქა ყოფილა. საერთო დასასურათებლად კი ამათ მუსიკისა, ჩვენ ამ საკრავების განსხვავებასაც მოვიყვანთ მოკლედ.

ავტ.

იფიქრებდა საცოდავი შენი დედა, თუ შეუბრალებელი სიკვდილი ასე მალე მოსწყვეტდა მას გულ-მკერდიდგან შენს თავს?! რას იფიქრებდნენ შენი პატარა ძმები, თუ ულალატებდი და აღარ გამოადგებოდი?! რას იფიქრებდნენ შენი ნაცნობ ნათესავები, თუ ჯერ ნორჩ ყმაწვილს ასე ადრე ცივი სამარე გულში ჩაიკრავდა?!

აი, ამიტომ დაგტირიან დღეს საცოდავად ყველანი, მაგრამ შენ პასუხს არ აძლევ და არავითარ ნუგეშს აღარ უქადი. არა თუ მარტო შენს მშობლებსა და ნათესავებს ეწვით გული შენის დაკარგვით, არამედ ყველა შეგნებულ ადამიანს, ვინც გიცნობდა და არ გიცნობდა, მაგრამ გაუგონიათ შენი ნიჭი და ენერგია, ისინიც გულ დაკოდილნი არიან 18 წლის ჭაბუკ მოსწავლის ადრე საფლავში ჩასვლითა. მეც, ერთი ახალთაობის აღმზრდელი, საერო მასწავლებელთაგანი, ღრმად შეწუხებული, ვდგევარ შენ კუბოს წინ და გული მიკვდება, შენს უსულო გვამს რომ დავყურებ. გული უდუღს ყველას, რომ მალე უნდა ჩავაბაროთ შენი თავი ბნელს საფლავს, რომელიც დაამებს შენს ტკივილებს, და შავი მიწა იქნება აწ შენის დედის მაგიერი და შენი პატრონი, ამისათვის გეთხოვებით უკანასკნელად, გილოცავთ გზას და გისტუმრებთ სამარეში შემდეგის სიტყვებით:

აწ კი მშვიდობით, ნორჩო მიხაკო,
ბედისგან ადრე მწარედ დასჯილო;
მიწას გაბარებთ, რომ განისვენო
უწყალო სენით აქ დატანჯულო!

თავს დაგტირის შენი დედ-მამა,
შენგან უმწეოდ დატოვებული:
რომ უღალატე და გაექეცი
და საუკუნოდ მოუკალ გული.

მიწავ, მიიღე, რადგან შეგშურდა
ამა ჭაბუკის ქვეყნად ცხოვრება;
არ დააცალე მშობლებთან ტრფობა,
მათთან ალერსი, სიამოვნება.

გამოაგზავნე მის დასაჭერად
სიკვდილი მკაცრი და ულმობელი;
არ შეიწყნარა წყეულმა იგი,
მოჰყავს შენთანა, ჩასჭიდა ხელი.

ვერც შენ გაძღები, ხარბო მიწაო;
უძღები არის სულ შენი გული;
თორემ არ გიშლით, ესეც შენ გყავდეს,
და ჩვენ კი ვიყოთ დაობლებული.

მოკლე სიტყვა უთხრა აგრეთვე სამრევლო სკოლის მასწავლებელმა სევ. კეკელიძემ და სემინარიის მოსწავლემ თევზაძემ. წესის აგების და გამოსვენების დროს გალობდა ქართულად ტობანიერის სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი ი. გოგაძის ლოტბარობით.

ვლადო ბზვანელი.

სოფ. **ლიხაური**. (გურია). ლიხაური სამხრეთ გურიაშია, ოზურგეთიდან 5—6 ვერსის დაშორებით და გაშენებულია აჭარა-გურიის მთების ძირში. ამ სოფელს აკრავს სოფლები: აჭი, ჭანიეთი, ქაქუთი, ნიაშაური და სხვა. მცხოვრებთა უმეტესობა გლეხობაა, სცხოვრობენ აგრეთვე სამი გვარი აზნაურობაც.

გლეხთა და აზნაურთა შორის წოდებრივი განხეთქილება არ არსებობს, როგორც გურიის ზოგიერთ სხვა სოფლებში, უფრო მეზობლური ურთიერთობა აქვთ...

ამავე სოფლებში ბინადრობენ რამდენიმე გამაჰმადიანებული ქართველნი, რომელნიც გურულებისაგან არაფრით განირჩევიან, გარდა სარწმუნოებისა.

მცხოვრებნი უმეტესად მიწის მუშაობას მისდევენ, მუშაობენ ზოგიერთ მემამულისა და უფრო კი სახაზინო ადგილებში. კერძო მესაკუთრენიც არიან გლეხობაში, რომელთა შორისაც ზოგიერთებს არ დასჭირდებათ სხვის ადგილებში ქირნახულისათვის მუშაობა.

მისდევენ აგრეთვე ხე-ტყის დამუშავებას. სახაზინო დიდი ტყეები ახლოს მდებარეობს ამ სოფლებიდან.

მოსავალი აქეთ გვარიანი იცის. ადესის ღვინო ბლომად მოდის.

აქაური აზნაურობა დიდ მემამულეთა რიცხვში არ ჩაითვლება, ამიტომ ზოგიერთი მათგანი, რომელთაც სხვა შემოსავლის წყარო არ მოეპოვებათ და თავის მამულის შემოსავლით ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნილებათ, თოხით მუშაობასაც ეჩვევა და აღარ თაკილობს!..

საზოგადოდ დღემდის ღარიბად არ ჩაითვლებოდა ლიხაურის საზოგადოება, მაგრამ უკანასკნელ წლების მოუსავლობამ აქაც ჩაიტანა თავისი ჭოჭი და ქონებრივად ხალხი გაჭირვებაში ჩააყენა...

ამ საზოგადოებაში სულ სამი სასწავლებელია: ერთი ორ-კლასიანი სკოლა ს. ლიხაურში, მეორე სამინისტრო პირველ-დაწყებითი სკოლა ს. აჭში და ერთიც საეკკლესიო პირველ-დაწყებითი სკოლა ს. ქაქუთში. ლიხაურის ორ-კლასიანმა სკოლამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ ამ ერთის წლის განმავლობაში, ამ სკოლის მზრუნველის აზ. ბებურ ბებურიშვილის წყალობით.

ბ-ნ ბებურიშვილის მეცადინეობით და საზოგადოების თხოვნით ამ სასწავლებელთან დაარსდა სამეურნეო განყოფილება და ამ საგნის მასწავლებელიც დაინიშნა, რომელსაც მთავრობისაგან ეძლევა ჯამაგირი.—ბებურიშვილმა შესწირა სკოლას ოთხი ქცევა მიწა, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს და რომელზედაც ბაღი უნდა გაშენდეს; იქ შეისწავლიან მეურნეობას ამავე სკოლის მოსწავლენი. ჯერ-ჯერობით ამ მიწაზე გაშენებულ იქმნა ამერიკული ვაზი და ხეხილი; ყოველივე ზოგი თავის ფულით და ზოგიც კერძოდ მოგროვილ შემოწირულებით შესძინა სკოლას ბებურიშვილმა.

სამეურნეო განყოფილების დაარსება ამ სკოლასთან სოფლელთათვისაც დიდად სასარგებლოა, მით უმეტეს, რომ ამერიკულ ვაზის და სხვა და სხვა ხეხილის გაშენებას სოფლელნიც მიჰყოფენ ხელს, როცა კი დაინახავენ, რომ მეტი სასარგებლოა, ვიდრე ჩვენებური უხეირო «ადესის» ვაზები.

შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო ზემოხსენებული სასწავლებელი, როცა სამეურნეო განყოფილებაც მიემატა და მოსწავლეთა რიცხვმაც იმატა, ძველი და უვარგისი შეიქმნა; ამიტომ საზოგადოებამ განიზრახა უფრო დიდის შენობის აგება. წელს საზოგადოებას გააწერეს ამისთვის საჭირო ფული. ოთხასი მანეთიც მთავრობამ გამოიღო და კიდეც დაიწყეს შენობა. ეხლა ამ სკოლისთვის შენდება დიდი და მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც სწავლის დაწყებამდე დასრულებულ იქმნება.

ქურდ-ბაცაცობა, როგორც სხვაგან, აქეთაც ხშირია, რის მოსასპობადაც ლიხაურის საზოგადოებამ ბევრი შინაურული წესები შემოიღო, რაც შემდეგში სასურველ ნაყოფს მოიტანს..,

ს. ლიხაურში, მაღალ გორაზედ, არის ერთი ძველის-ძველი დიდი ციხე, რომელიც, ხალხის თქმულებით, თამარ მეფის აშენებული უნდა იყოს.

უსუფ-ადა.

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლში ჰფიქრობენ, რომ მალე მივა იქ და გაჩერდება დარდანელთან ამერიკის ესკადრა, რომელსაც აზრად აქვს დიდხანს დარჩეს ოსმალეთის ყურეებში.

— ოსმალეთის სომხეთის საქმე ძალიან ცუდადაა თურმე. სტამბოლში მიუღიათ ცნობა, რომ ქალაქი მუში იწვის. ქურთებს უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ამოუწყვეტიათ და ახლა სძარცვავენ, თუ ვისმე რამე ქონება გადარჩა. ჰგონებენ, რომ თავდასხმის გეგმა წინდაწინვეა მოფიქრებული და ცეცხლიც განგებ წაუკიდეს ქალაქსაო. ქალაქ მუშში 30,000 მცხოვრებელია და მათ შორის ორი მესამედი სომხნი არიან.

ევროპას ახლა სომეხთა საქმე გაუხდება გადასაწყვეტი და თავში საცემი.

ნარევი და გასართობი

ჰაეროსტატი.

ამერიკელი ჰოლანდი ცნობილია, როგორც სხვა და სხვა ნაირ მანქანების მომგონი. ამას წინად წყალში მავალი ნავი მოიგონა. ეხლა კი უფრო საოცარი რამ მოუგონია. დიდი ხანია სცდილობდნენ, ისეთი ჰაეროსტატი მოეგონათ, რომ ჰაერში დაუბრკოლებრივ ეფრინა. მაგრამ აქამომდე ვერც ერთი ჰაეროსტატი ვერ გამოდგა. ეხლა ჰოლლანდს ისეთი ჰაეროსტატი გაუკეთებია, რომელიც საათში 40—50 ინგლისურ მილს გაივლის და საოცრად იაფიც იქმნება: მთელი ჰაეროსტატი ვითომც 40 მარკაზე (მარკა ათ შაურამდეა) მეტი არ დაჯდება.

პირველად ეს ამბავი არავინ დაიჯერა, მაგრამ ჰოლლანდი ბეჯითად ამბობს, ეჭვს ნუ შემოიტანო. წყალში მავალი ნავი რომ მოვიგონე, მაშინაც ეჭვი შემოიტანეს და დამცინოდნენ კიდეც, მაგრამ მერე ჩემი მოგონილი მანქანა გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ მართლა საგანგებო რამ არის. ნამდვილად შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩემ-მიერ მოგონილი მანქანა ოთხ-ხუთს წელიწადს მთელს დედამიწის ზურგზე გავრცელდებაო.

—

ქაბულიდგან გაზ. «ტაიმსს» ატყობინებენ,—ამას წინად რამდენმამე ასტროლოგმა ავღანისტანის ემირის თანადასწრებით იწინასწარმეტყველა, რომ ორის თვის შემდეგ ავღანისტანში გაჩნდება შავი ჭირი, რომელიც მრავალს ავღანელს გამოასალმებს წუთი-სოფელსაო. წინასწარმეტყველნი-ასტროლოგნი ციხეში ჩაუსვამთ ემირის ბრძანებით და, თუ არ გამართლდა მათი წინასწარმეტყველება, სიკვდილით დასჯიანო.

ნარკვევი

ბ-ნ ზენგერს უნახავს ლ. ტოლსტოი და ჩეხოვზედ ჩამოუგდია ლაპარაკი.

ჩეხოვი...—უთქვამს ტოლსტოის,—ჩეხოვი, იგი, შეუდარებელი და ხელოვანი მწერალი იყო, ხელოვანი მხატვარი ცხოვრებისა... ღირსება მისის შემოქმედებისა ის არის, რომ ყველასთვის გასაგები და გულს-მოსახვედრი არა მარტო ყოველის რუსისათვის, არამედ ყოველის კაცისათვის... ეს კი დიდი რამ არის... ამას წინად წავიკითხე ვიდაც ნემეცის წიგნი და იქ გამოყვანილია უმაწვილი კაცი, რომელსაც უნდა კარგი რამ საჩუქარი მიართვას თავისს დანიშნულს და წიგნებიკი მიართვა. მერე ვისი? ჩეხოვისა... იმიტომ, რომ ჩეხოვს ყველა ცნობილ მწერალზედ მაღლა აყენებდა...

ჩეხოვი იღებდა ანუ ასურათებდა ცხოვრებიდან იმას, რასაც თვალით ჰხედავდა, და შინაარსს არ დაეძებდა ნაწილისას.

სამაგიეროდ, თუ ასურათებდა რასმე, ასურათებდა მეტად პოეტურად და გასაგებად, ყოველ წვლილის ცხადად გარკვევით.. რაც საინტერესოდ მიაჩნდა შემოქმედობის დროს, ყოველსავე ცხოვლად ჰხატავდა ისე, რომ ერთს ხაზსაც არ დასტოვებდა აღუნიშვნელად.

ჩეხოვი გულ-წრფელი იყო და ეს დიდი ღირსებაა; სწერდა იმას, რასაც ჰხედავდა და როგორც ჰხედავდა.

და ამ გულ-წრფელობის წყალობით შეჰქმნა ახალი, სრულიად ახალი სახე წერისა, ისეთი, რომლისთანაც არსად არ მინახავს. მისი ენა არა-ჩვეულებრივი ენაა. მახსოვს, პირველად რომ დავიწყე მის ნაწერების კითხვა, რაღაც უცნაური მეგონა, უხერხული მეჩვენა, მაგრამ თანდათან გამიტაცა და სრულიად შემიპყრო.

დიად, ამ უხერხულის ენის წყალობით, საოცრად იტაცებს მკითხველს და, თითქო თქვენდა უნებურად, ჰნერგავს თქვენს გულში საოცარსა და მშვენიერს ხელოვნების სურათებს.

ვიმეორებ, ახალი სახე, ახალი ფორმა შემოქმედობისა შეჰქმნა ჩეხოვმა. ცუდუბრალო თავდაბლობით არ მომდის ესა და უნდა ვსთქვა, რომ ტეხნიკის მხრივ ჩეხოვი ჩემზედ ბევრად მაღლა სდგას!..

ჩეხოვს შემდეგ მ. გორკიზედაც ჩამოვარდა თურმე ლაპარაკი.

იმის მწერლობა ნამდვილი უკუ-ქცევაა, დაცემაა ხელოვნებისა. მოძღვრება დაიწყო და სასაცილო რამ გამოდის... საზოგადოდ, არ მესმის, რად მიაჩნიათ გორკი „დიდებულ“ მწერლად. რა სთქვა განა? რომ მაწანწალას, «ბოსიაკს» სული უდგიაო?ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ეგ წინადაც ვიცოდით... ახალი არა არის-რა მისს ნაწერებში...

ლ. ტოლსტოი დიდი წინააღმდეგი ყოფილა რუსულ მართლ-წერაში რეფორმის შემოღებისა.

მართალია, ეს წვრილმანია, მაგრამ საჭიროა ჩემი აზრი გამოვსთქვა ამ საგნის შესახებ. ჩემის აზრით, ეგ რეფორმა სისულელეა, დიად, სისულელეა. ეგ სწავლულების ნახხირკვდელავია და ცხოვრებაში არ განხორციელდება. ენა ცხოვრების შედეგია, შექმნილია ისტორიულად და ამ ენაში პატარა ხაზსაც-კი თავისი განსაკუთრებული, მოაზრებული მნიშვნელობა აქვს... კაცს არ შეუძლიან და არც ნება აქვს გადააკეთოს ის, რაც ცხოვრებას შეუქმნია. ეგ უგუნურებაა. უგუნურება ბუნების გადაკეთების ცდაა...

ვერაფრად ეპაშნიკებათ ტოლსტოის აზრი ჩვენის მართალ-წერის რეფორმატორებსაც, მეტადრე ერთ რიგის მართლ-წერის მოაზრეებს, რომელთაც სასტიკი ომი გამოუცხადეს ძველებურ ფორმებს მართლ-წერისას. მამა-პაპას ტფილისი უწერია, მაგრამ ჩვენ თფილისი უნდა ვწეროთო; ისინი ამბობდნენ მისცა, მისცეს, ჩვენ უნდა ვწეროთ: მიცა, მიცესო.

რას უზამ ამისთანა ახირებულ პროგრესისტებს და რეფორმატორებს? კაცია და გუნებაო, ხომ გაგიგონიათ?!

თეატრი და ხელოვნება

როგორც «ნოვ. ობოზრ.»-ს გაუგია, საბოლოოდ გარდაწყვეტილია პარიჟში, სარა ბერნარის თეატრში, თავ. სუმბათაშვილის «ღალატის» წარმოდგენა. თვით სარა ბერნარი, რასაკვირველია, ზეინაბის როლს შეასრულებს. ტანისამოსსა და დეკორაციებს მოამზადებენ ისე, როგორც ავტორი უჩვენებს. «ღალატის» წარმოდგენას პარიჟში თვით თავ. სუმბათაშვილიც დაესწრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 ივლისი.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრეს შტაბს 19 ივლისით: «საიმაძ-ლიაოიანის მხარეზე 18 ივლისს მედგარის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ავანგარდმა შეინარჩუნა პოზიციები. 19 ივლისს მტერი გაბედვით ვერ წამოვიდა წინ ჩვენის ავანგარდის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ ფინხუანჩენ-ლიაოიანისაკენ. ჩვენმა ჯარებმა დაიწიეს იანზელინის გადასავალზე. 19 ივლისს სიწყნარე იყო. 17 ივლისს ფინხუანჩენ-ხაიჩენისაკენ მტერმა ადგილები დაზვერა. მტერი მთებიდან ძირს ჩამოეშვა, მდინარე შახეს ხეობაში, მაგრამ ჩვენებმა უკუაქციეს. იაპონელების წინ წამოწევას ჩვენის მოწინავე პოზიციისაკენ სანჩენზის აღმოსავლეთად ხელს უწყობდა მთისა და ბარის ზარბაზნები. ჩვენმა ორმა ბატალიონმა შეაყენა იმათი წინსვლა. ამავე დროს უტუნშუგოუდან წამოსულნი იაპონელნიც შევაყენეთ. ჩვენ დაგვიჭრეს 2 აფიცერი და 34 ჯარის-კაცი. 18 ივლისს მტერი წამოვიდა ლიაოხანძისაკენ. ამათი მოძრაობა შეაყენა ჩვენმა ჯარის და ბატარეიების სროლამ. ჩვენ მოგვიკლეს 2 აფიცერი, 1 დასჭრეს, მოკლულდაჭრილია 20 ჯარის-კაცი. 18 ივლისსვე ჩვენის ჯარების არიერგარდის წინააღმდეგ წამოვიდა მტრის რაზმი, ასე ორი ბატალიონი, 4½ საათზე დილით თავს დაესხა ჩვენს მოდარაჯე რაზმს და დაიჭირა უღელტეხილი იაიშუგუს და სუძიაპუძის შორის. ჩვენ დაგვიჭრეს 5 აფიცერი და 40-დე ჯარის-კაცი.

სტამბოლი. (კორ. ბიურო). გაზეთებისგან გავრცელებული ხმა, ვითომც დონისძიებანია მიღებული რუსეთის კერძო ფლოტის გავლის გამო სრუტეებშიო, ტყუილია.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სტატს-სეკრეტარის თანაშემწემ პერსიმ, უპასუხა-რა შეკითხვაზე, განაცხადა, დიდბრიტანიის მთავრობამ მისწერა თავისს ელჩს პეტერბურგში, გადასცეს რუსეთის მთავრობას პროტესტი იმის შესახებ, რომ სანოვაგე ჩარიცხეს სამხედრო კონტრაბანდის სიაშიო.

21 ივლისი.

პეტერბურგი. დეპეშა ვიცე-ადმირალ სკრიდლოვისა მისის უდიდებულესობის სახელზე: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატრებითს უდიდებულესობას, რომ კონტრ-ადმირალმა იესსენმა, რომელიც მე გავგზავნე რაზმით იაპონიის აღმოსავლეთ ნაპირებისკენ, ხოლო რაზმში იყო «როსსია», «გრომობოი» და «რიურიკი»,—მომახსენა, როცა გემებმა გაიარეს 7 ივლისს სუნგარის სრუტე, შეხვდათ პატარა გემი იაპონელთა «კასიმამარუ», რომელიც, როცა ხალხი გადმოიყვანეს, ჩაუძირეს. ხალხი ნავებით ნაპირისკენ გაისტუმრეს. ამავე დროს გააჩერეს ინგლისის გემი «კამარა», რომელიც ნახშირისათვის მიდიოდა მორორანს. თუმცა ეჭვი იყო, რომ ამ გემს გადაჰქონდა იაპონელთათვის სამხედრო კონტრაბანდა, მაგრამ რადგან გემზე ტვირთი და პირდაპირი საბუთები არ იყო, გაუშვეს. მალე შეჰხვდათ სანაპირო გემი «კიონდუნიუმარუ» 50 მგზავრით, რომელთა შორისაც მომეტებულად ქალნი იყვნენ, ამიტომ გემი გაუშვეს. სამხრეთისკენ რომ დაეშვნენ, ერთი-ერთმანეთზე შეჰხვდა ორი ნავი იაპონელთა, ორივე დატვირთული თევზითა და მარილითა. ხალხი გადმოსხეს და ნავები ჩაჰლუპეს. 9 ივლისს იოკოჰამიდან ასს მილზე შეიპყრეს გერმანიის გემი «არაბია», რომელსაც მოჰქონდა ბევრი კონტრაბანდა—რკინის გზის მასალა და ფქვილი იაპონიის ნავსადგურებისათვის. «არაბია» გაიგზავნა ვლადივოსტოკს. დილით, 10 ივლისს, კიდევ შეჰხვდა დიდი გემი, რომელიც გაჩერდა მაშინ, როცა ოთხჯერ ესროლეს ყუმბარა; აღმოჩნდა, რომ ის იყო ინგლისის ბარგის გემი «ნაიტ კომანდერი» ნ მოდიოდა ნიუ-იორკიდგან ევროპით იოკოჰამას და კობეს. როგორც ქაღალდებიდან და შკიპერის სიტყვებიდან შევიტყეთ, გემს

ნიერს დღეს, როცა გატაცებული იყო ღრმა ფიქრებით, შეამჩნია, რომ ორი დედალ-მამალი საამო სანახავი ფრინველი, სახელად ფუნგ-ხაონგი, ჰფრინავდნენ, სხდებოდნენ ამ მეცნიერის შორიახლო და რიგრიგობით გალობდნენ; ფუნგი—მამალი გალობდა პირველ ექვს ტონზედ და ხაონგ—დედალი მეორე ექვს ტონზედ; ლინგ-ლუნი შეუდგა იმის ფიქრს, თუ რა საგნისთვის და როგორ უნდა ამოეღებინა ამ ფრინველების მინაგვარი ხმა; რაღა ბევრი გავაჭიანუროთ, გამოსჭრა ლერწამი და ამოაღებინა ერთი ხმა; ამ ხმას დაარქვა: კუნგ; პირველად გამოგონილ ტონს დიდი მნიშვნელობა მიეცა: ამ ტონის ზარი ეკიდა მეფის სასახლის წინ, რომლითაც იწვევდნენ ხალხს ყრილობაზედ მეფის ბრძანების მოსასმენად; ამ ტონიდგანვე იწყებოდა თვლა საზოგადოდ ტონებისა; ლინგ-ლუნს უნდოდა, გამოეკვლია, რამდენით მაღალი იყო ერთი ტონი მეორეზედ, რომელსაც ეს ფრინველები ამობდნენ; მან მოკრიფა მცენარე ხოუ, გამოფშვნიტა, დასთვალა და ეს რგვალ-რგვალი შავი მარცვალი ლერწამში თვლით ჩაუშვა; ლერწამის ტანი ივსებოდა და სალამურის ხმაც მაღლდებოდა; ასე და ამნაირად ლინგ-ლუნმა გამოიკვლია, თუ რამდენი მარცვალი რამდენზედ ასწევდა ხმასა; აქ მოყვანილი გარდმოცემა, თუნდ ლეგენდათაც მივიღოთ, მაინც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ამბავს თავისი მიზეზი ექმნებოდა; იმის უარყოფა ხომ არ იქნება, რაც მაშინდელმა გამოჩენილმა მეცნიერებმა დასტოვეს თხზულებანი და აუარებელი ტრაქტატები მუსიკის ხელოვნებაზედ; ამ მეცნიერთა რიცხვი მრავალი იყო, რადგანაც ეს დარგი ხელოვნებისა წმინდა საგნად ითვლებოდა და თვით ტახტის მემკვიდრენი იყვნენ მათი მფარველნიც. იყო ერთი დროც, როდესაც მუსიკის სწავლა მხოლოდ მეფეთა შთამომავლობას შეეძლო, სხვანი კი ამის ღირსად არ ითვლებოდნენ.

მუსიკას დიდს მფარველობას უწევდნენ თვით მემკვიდრენიც მეთქი: ხელმწიფე ჩუნუ, მემკვიდრე იაო-ხი, რომელიც სცხოვრობდა 33000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, დიდი თაყვანის მცემელი იყო მუსიკისა; თავის მეფობის დროს, ერთს გამოჩენილს და სახელოვანს მემუსიკეს, კვეის, შეუკვეთა ისეთი რამ სამუშაო, რომლის დადგვირგვინებაც, იმის აზრით, გააორკეცებდა და გაადიადებდა მუსიკის ხელოვნებას: ისე უნდა შეიმუშაო კინგის საკრავი, ისე უნდა გააუმჯობესო მისი დაკვრაო, რომ ცხოველებიც, რა ისმინონ მისი ხმა, შეკრბენ, გაიხარონ და დასტკბენო; არავინ იცის, კვეიმ შეასრულა ბრძანება ცის შვილისა თუ არა, მაგრამ ამბობენ, ამ მემუსიკეს თხზულებანი იმდენად შესანიშნავნი და სასიამოვნონი იყვნენ, რომ კონგ-ფუ-ტზემ (კონფუცი სცხოვრობდა 500 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე), რა მოისმინა ერთი ამ თხზულებათაგანი, სიამოვნებით დაითვრა, ალტაცებაში მოვიდა და დიდხანს უარჰყო საჭმლის მიღებაც-კი. მთლად მისი ფიქრი და არსება ამ გასაოცარ, ღვთიურ სიმშვენიერით შემკულ ახლად გაგონილს ჰიმნს შეეპყრო.

ი. კარგარეთელი.

მიჰქონდა იაპონიაში $3^1/_2$—4 ათასამდე ტონნი რკინის გზის მასალა. გემი «ნაიტ კომანდერი» ჩვენ ვცანით საკონტრაბანდო გემად, და ამიტომ ის ჩავლუპეთ, ხალხი კი გადმოვსხით და დოკუმენტებიც წამოვიღეთ. შუადღის დროს კიდევ ორი ნავი იაპონელთა ჩაჰლუპეს. ხალხი კი გადმოსხეს; ნავებს მარილი მიჰქონდათ. ამავე დროს გააჩერეს ინგლისის გემი «ჩაინა», რომელიც ავსტრალიიდან იოკოჰამას მიდიოდა, მიჰყავდა მგზავრები და მიჰქონდა სანეიტრალო ტვირთი. გემი გავსინჯეთ და რადგან საეჭვო არა იყო-რა, გავუშვით. 11 ივლისს შეაჩერეს გერმანიის გემი „ტეა“, რომელიც ამერიკიდან მოდიოდა იოკოჰამას, მთლად თევზებით დატვირთული. «ტეა» დავლად ჩავთვალეთ და რადგან რუსის ნავსადგურში მიყვანა არ შეიძლებოდა, ჩავლუპეთ, ხალხი კი გადმოვსხით. 17 ივლისს, შუადღის დროს, ჩვენი რაზმი წავიდა სანგარის სრუტისაკენ. სამი საათი იქნებოდა, რომ შეამჩნიეს იაპონიის მესამე ხარისხის კრეისერი, ვგონებ «თაქაო» სამის ნაღმოსნით, იმას უკან კი გემი—«კონგო» ორის ნაღმოსნით. გემები რაზმად და ერთნაირად მიდიოდნენ. ამავე დროს სრუტეს მარცხენა მხრიდან გამოჩნდა ჯავშნიანი გემი. ეს გემი ძალიან ნელა მიდიოდა და 5 საათზე უკან გაბრუნდა. ბედნიერი ვარ მოვახსენო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, სათარეშო გემებმა შეასრულეს თავიანთი მოგზაურობა ისე, რომ ერთი კაციც კი არ დაჰკლებიათ და არც რამე დაზიანებიათ».

დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისის უდიდებულესობის სახელზედ 19 ივლისით: «როგორც გვაუწყა აღმოსავლეთის რაზმის უფროსმა, ჯარებმა დასტოვეს წინა პოზიცია იანზელინის გარდასავლისა და დაიწიეს ლიანდიანსიანისკენ. საიმაძ-ლიაოიანის მხარეზე ჩვენმა ჯარებმა გუშინდელ მედგარ ბრძოლის შემდეგ დაიწიეს წინა პოზიციიდან, მაგრამ დიდი ზარალი კი მოუვიდათ. იმედი მაქვს, უმთავრესს პოზიციაზე გამარჯვებით გადაიხდიან ჩვენი ჯარები ომსა, რაც უნდა ბევრი მტერი იყოს. როგორც შევიტყეთ, ამ უკანასკნელ დღეებში კუროკიმ ერთად მოკრიბა ჩვენზე მთელი თავისი ჯარები საიერიშოდ საიმაძ-ლიაოიანისაკენ. ეს ჯარები, როგორცა სჩანს, იმოქმედებენ მდინარე თაიძის მარჯვენა ნაპირზე. ამ დღეს მტერი სამხრეთ ფრონტიდან გაუბედავად იქცეოდა. მაგრამ შევიტყეთ, რომ გარე შემორტყმა დაუწყეს ჩვენს მარცხენა ფრთას საპის დივიზიითა ხაიჩენთან. აღმოსავლეთ ლაშქარს 19 ივლისს ბრძოლა არა ჰქონია.

ტოკიო. 20 ივლისი. (რეიტ. სააგ.). ამბობენ, სამის დღის მედგარ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა პიაოჯანგოუ აიღესო.

პეტერბურგი. 20 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი გამოეთხოვა პეტერგოფს სამარისა და კასპიის პოლკებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთს წავიდნენ. ხელმწიფემ გზა დაულოცა, უსურვა გამარჯვება და ხატებით დალოცა.

ხარბინი. 20 ივლისი. (საკუთ. კორ.). პორტ-არტურიდან 2 ივლისს მოსულმა ჩვენმა მოხელემ გვიამბო, ციხეში სიწყნარეაო. ყველანი მხნედ არიანო. ჯარიც და ხალხიც მოსალოდნელ სროლას გულცივად ელიან. მტერი თუმცა ნაღმებს ესვრის რეიდსა, მაგრამ ამაოდ, რადგან ჩვენი ბატარეიები ყურადღებით არიან. ღამით სროლა ყუმბარებისა ხალხს არ აღელვებს, ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ. სურსათი არ აკლიათ. ქალაქს ჩვეულებრივი შეხედულება აქვს, არაფერი არ დანგრეულა. ავადმყოფობა არ არის. გაზეთი «ნოვი კრაი» ძველებურადვე გამოდის.

ტოკიო. (რეიტერი). ორის დღის ბრძოლის შემდეგ, 19 ივლისს, კუროკიმ ძლიერ გაიმარჯვა ორჯელ კუშულინძთან და იანზელინთან.

ბაქო. რადგანაც რამდენიმე შემთხვევა იყო ხოლერით სიკვდილისა რეშტში, მეშედში და საბზევარში და თითო-ოროლა შემთხვევა ჭირისა შირაზში და საბზევარში, ბაქოში შეიკრიბნენ პეტერბურგის უმთავრეს სამკურნალო უწყების მოხელენი და ადგილობრივ სამკურნალოს უწყებისაც, რომ მიიღონ ღონისძიებანი, არ შემოვიდეს სპარსეთიდან რუსეთს ეს სენი. წარსულ წლების გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ დროზედ მიღებულის ღონისძიებით შესაძლებელია შეაყენონ და არ გავრცელდეს სენი. 19 ივლისს თეირანიდან მოსულები ამბობენ, რომ სენმა იკლოო.

ქუთაისი. გაძარცვეს გელათის მონასტერი. გაიტანეს არქეოლოგიური ძვირფასი ნივთები.

პოლტავა. წავიდა წითელის ჯვრისაგან შემზადებული ლაზარეთის რაზმი, რომელსაც ორასი საწოლი აქვს.

21 ივლისი.

პეტერბურგი. «მთავრობის მოამბეში» დაბეჭდილია განკარგულება პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტის გადაკეთების შესახებ.

ტოკიო. (ვოლფი). ოფიციალურად. კუროკი იუწყება: 18 ივლისს, გათენებისას, ჩვენი ლაშქარი შეუდგა მტერზე იერიშის მიტანის თადარიგს. მტერს ეჭირა კუშულინძი, ლიაოიანიდგან 25-სა და მოდულინის უღელტეხილიდგან 6 მილის მანძილზედ. რუსებს ჰქონდა ორი დივიზია და ამის შესაფერი არტილლერია. მზის ჩასვლისას ორივე ფრთა მტრისა დავამარცხეთ, მაგრამ რადგანაც მტერს დიდი ძალა ჰყავდა ძლიერ მაგარი პოზიციები ეჭირა, ამიტომ ჩვენ ვერ შევსძლეთ ამ პოზიციების დაჭერა. მეორე დღეს, გათენებისას, მტრის პოზიციებზედ იერიშის მიტანა განვაახლეთ და შუადღეზედ მტერი ვაიძულეთ და პოზიციები მივატოვებინეთ. ჩვენ ვსდევნეთ მტერი ოთხის მილის მანძილზედ ანპინის გზისაკენ. იანჩულინის დასავლეთით იდგა რუსთა $2^1/_2$ დივიზია ოთხის ბატარეით. იერიში აქაც დიდის მოხერხებითა და სიჩქარით მივიტანეთ და მზის ჩასვლისას ჩვენ დავიპყარით მტრის უმთავრესი პოზიციები. რუსის ჯარის ერთმა ნაწილმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია, ასე რომ ღამის გათევა მოგვიხდა ბრძოლის ველზედ 19 ივლისს, გათენებისას, ჩვენ განვაახლეთ თავდასხმა და დილის 8 საათზედ ყველა მაღლობები, რომელიც მტერს ეჭირა, ჩვენ ხელთ ვიგდეთ. მტერი უკუ იქცა და ტანხქიანისაკენ დაიწია. ჩვენი ზარალი ცნობაშია მოყვანილი. ჩვენ წავართვით მტერს მრავალი სამთო ზარბაზნები. ამ ბრძოლაში ჩვენ ვიომებდით სულ იერიშით და ძალიანაც გაგვიჭირდა, რადგანაც ციცაბო კლდე დაღმართზედ უნდა გვეომნა, ასე რომ არტილერიისათვის შესაფერი პოზიცია არა გვქონდა. 40 გრადუსი სიცხეა «ცელსიუთი».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 6 ენკენისთვეს ამ 1904 წ., ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადების შემოუტანლობისათვის, მე-12, 17, 27, 28 და 36 §§-მებრ.

მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში 22 ენკენისთვეს 1904 წლისა.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სავალო და აგრეთვე საერობო და საქალაქო ხარჯებიც.

ვისაც ამ მამულების ვაჭრობაში სურს მონაწილეობა მიიღოს, ვალდებულია საადგ.-მამ. ბანკში წარადგინოს ნაღდ ფულად გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკში შესატან დარჩენილს გარდასახადსა და აგრეთვე იმ დარჩენილ საქალაქო და საერობო გადასახადსაც, რომელიც ვაჭრობის დღისთვის [illegible] აღმოჩნდება.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მყიდველი ვალდებულია წარადგინოს: ნაყიდობის გარდასახადი და ის ფული, რომელსაც ვაჭრობაში წაუმატებს, 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდგან.

თავნი ვალი მყიდველს შეუძლიან თავის სახელზედ გადაიტანოს, ისე-კი, რომ პირველ მფლობელის ყოველივე ვალდებულობა თვითონ იკისროს.

ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად, პატრონს შეუძლიან შემოიტანოს დარჩენილი გარდასახადი ვაჭრობის დღემდე და მით განათავისუფლოს მამული ვაჭრობისაგან.

ვისაც ვაჭრობაში სურს მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გასასყიდ მამულების შესახები საქმენი ბანკის კანცელარიაში განიხილოს ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ, თუ ვინიცობა პირველ-დასაწყისი აწერილობა მამულისა არ შეეთანახმება დღევანდელს ვითარებას, იგი ამისთვის პასუხის მგებლობას არ კისრულობს.

ქალაქის მამულები

ქალ. ტფილისისა.

ანტონოვისა ანნა ივანეს ასული: შენობანი და მიწა, ზომით, საბუთების ქაღალდებით 108 კვ. საჟ. და ბანკის აწერილობით 96 კვ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; 1 ნაწილში, მატინოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 17,329 მან. 35 კ., შესატანი გარდასახადი 657 მან. 46 კაპ., სულ 17,986 მან. 81 კაპ.

მიკირტიჩანცი ავეტიქ მიკირტიჩას ძე; შენობანი და მიწა, ზომით, საბუთების ქაღალდებით, 21 კვ. საჟ. და 7 არშ., და ბანკის აწერილობით 21 კვ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; 7 ნაწილში, იორის ქუჩაზე.

თავნი ვალი 587 მან. 55 კაპ., შესატანი გარდასახადი 36 მან. 82 კაპ., სულ 624 მან. 37 კაპ.

საბო ვასილი ალექსანდრეს ძე: სამოსახლო ადგილი, ზომით 97 კვ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, 10 ნაწილში, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩაზე.

თავნი ვალი 1,635 მან. 85 კაპ., შესატანი გარდასახადი 72 მან. 51 კაპ., სულ 1,708 მან. 36 კაპ.

ჩავლეშვილისა მაკრინე ივანეს ასული და საბა, გიორგი, ელისაბედ, მარიამ და ელენე ოსების ძენი და ასულნი: შენობანი და მიწა, საბუთების ქაღალდებით 61 კვ. საჟ., 6 კვ. ვერშ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, 10 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე.

თავნი ვალი 7,089 მ. 28 კ., შესატ. გარდასახადი 274 მ. 87 კ., სულ 7,364 მან. 15 კაპ.

ქალ. თელავისა

მაჟაშვილი რევაზ გრიგოლის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 2100 კვ. საჟ., ანუ რამდონიც აღმოჩნდება, ნადიკვარზე.

თავნი ვალი 6654 მან. 94 კაპ., შესატანი გარდასახადი 330 მან., სულ 6984 მან. 94 კაპ.

ქალ. ერევნისა.

შაგოევი არშაკ ასლანის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 100,9 კვ. საჟ. ნაზაროვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2405 მან. 85 კაპ., შესატანი გარდასახადი 109 მან. 4 კაპ., სულ 2514 მან. 89 კაპ.

ქალ. განჯისა.

მუღდუს-მარქაროვი ნიკიტა ნაზარის ძე: შენობანი და ორ-ნაჭრად გაყოფილი მიწა, ორივე ერთად ზომით 379,24 კვ. საჟ., 1 ნაწილში, დორტ-ელის (ეხლა ვოგზალის) ქუჩაზე.

თავნი ვალი 5,905 მ. 17 კ., შესატანი გარდასახადი 262 მ. 77 კ., სულ 6,167 მ. 94 კაპ.

სოფლის მამულები

ტფილისის გუბერნიაში.

დუშეთის მაზრისა.

ბაგრატიონ-მუხრანსკისა ეკატერინე იაკინთეს ასული: სხვა და სხვა ადგილები, მიწა ზომით 333 დეს. 2090 კვ. საჟ., მუხრანისა და ქურის-უბნის აგარაკებში.

თავნი ვალი 19,781 მან. 59 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 664 მან., სულ 20,445 მან. 59 კაპ.

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობა ამით, აცხადებს, რომ 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში, უადგილობისა გამო, მოწაფენი არ მიიღებიან. მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს. მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახელმწიფო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და მოწაფეს ამ ვაკანსიაზედ დახურულ კენჭის ყრით მიიღებენ, რომელიც დანიშნულია 5 სეკდემბერს. (2—უ—).



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
В. М. МИРИМАНІАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—5—6)





ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს,

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—21).

Тип. Е. И. Хеладзе, Русск. базаръ, домъ арм. семинарій